# ტრადიციული კულტურის რევიტალიზაცია და ინოვაცია აფხაზეთში

**ნინო ხარჩილავა**
*ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი,*
*ელ-ფოსტა: kharchilavanin@gmail.com*
*ORCID: https://orcid.org/0009-0000-3515-3259*

**აბსტრაქტი.** XX საუკუნის ბოლოს შექმნილი წინააღმდეგობრივი, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პროცესები ჩვენი ქვეყნის, მათ შორის აფხაზეთის მრავალეთნიკურ საზოგადოებაზე თავისებურად აისახა. აფხაზეთში კონფლიქტის შედეგად მხოლოდ გალის რაიონში დარჩნენ ქართველები, ხოლო სხვა რაიონებში მცირე ნაწილი. ქართველებსა და აფხაზებს შორის მოხდა იზოლირება. რეგიონში შექმნილმა რთულმა ვითარებამ აფხაზების და იქ დაჩენილი ქართველების ცხოვრების წესზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. თვალშისაცემია სოციალ-პოლიტიკური გარემოთი განპირობებული, ყოველდღიური ყოფის მნიშვნელოვანი ცვლილებები. აფხაზეთში დღემდე მოღწეულია ტრადიციული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ქართველი და აფხაზი ხალხის ტრადიციულ ყოფასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამ მხარის ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ყოფის ტრანსფორმაცია მოსახლეობის სულიერ კულტურაზეც აისახა. წეს-ჩვეულებებს განსაკუთრებულ სიცოცხლის უნარიანობას ანიჭებდა ის, რომ მათში საუკუნეების განმავლობაში, ახალი ჩვევების გაჩენასთან ერთად, წინა ეპოქების ტრადიციებიც შენარჩუნდა.

ქართველი და აფხაზი ხალხის ხანგრძლივი და მშვიდობიანი ურთიერთობა XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის დესტრუქციული ძალების მიერ ინსპირირებულმა ,,ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა“ დაარღვია და ამ ორი ხალხის ინტეგრაციის პროცესის შეწყვეტა გამოიწვია. აღნიშნული გარემოება თანამედროვე აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზების ტრადიციული ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროზე აისახა. რამაც ერთის მხრივ, წარმოშვა ინოვაციური ტენდენციები, მეორეს მხრივ, კი ტრადიციული კულტურა, როგორც ეთნიკური სახის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი პირობა ხდება და ყოფითი კულტურისა და წეს-ჩვეულებების კონსერვაციის მექანიზმი ამოქმედდა. დაფიქსირდა კულტურის იმ ელემენტების აღორძინება, რომელიც მეტნაკლებად დავიწყებული იყო და ახალი გარემოებების წყალობით კვლავ გამოცოცხლდა - რევიტალიზაცია და ვითარების გასაუმჯობესებლად ახალი მეთოდების და გზების მოძიება - ინოვაცია. რევიტალიზაციაში იგულისხმება ტრადიციული ინსტიტუტების გამოცოცხლება, რასაც კრიზისულ შემთხვევებში სოციუმის თვითგადარჩენის აუცილებლობას განაპირობებს. მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო საზოგადოება თვითგანადგურების წინაშე დადგა და იძულებული გახდა ხსნის გზა მოეძებნა.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი, წეს-ჩვეულებები, რევიტალიზაცია, ინოვაცია.

***

**მეთოდები.** კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში ქართველთა და აფხაზთა წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული საკითხების საველე პირობებში შესწავლა, საველე მუშაობა შესრულდა უშუალო დაკვირვებისა და ინფორმატორთა ინტერვიურების მეთოდით. მოვახდინე ინდივიდუალური შეხვედრები. მოგვეცა მასალების შეგროვების შესაძლებლობა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დადგინდა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ძირითადი ტენდენციების დინამიკა. ასევე, განხილული და გაანალიზებული იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თეორიული მასალები.

**მსჯელობა.** წინამდებარე კვლევა საინტერესოა, როგორც პრაქტიკული ისე მეცნიერული თვალსაზრისით. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის თანამედროვე აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა და აფხაზთა კულტურული ტრადიციების შესახებ ეთნოგრაფიული მონაცემები, რითაც გარკვეული წარმოდგენები შეიქმნება ამ ორი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაზე. მართებულად მიგვაჩნია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ გვერდით ცხოვრება, კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით შემონახულ ტრადიციებსა და ყოფაზე დაკვირვება. რაც ჩვენის აზრით კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გახლეჩილი ეთნოსების გამთლიანებას.

აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო ეთნიკური ქართველებით. მათი არსებობა ამ ტერიტორიაზე წინ უსწრებდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბებას. აფხაზების გამოჩენა, საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, საისტორიო ლიტერატურის, წყაროებისა და აფხაზური ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინებით, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ადრეული მიგრაციული ტალღის შემოჭრასა და დაფუძნებასთანაა დაკავშირებული. მკვიდრი და მოსული ხალხის, კონსოლიდაციის, მოგვიანებით შერწყმა-ასიმილაციას ახალი ეთნიკური ერთობის ,,აფხაზების“ ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. ამდენად VIII საუკუნიდან ისინი ენით, პოლიტიკურად, კულტურულად და სოციალურად ქართული სამყაროს ნაწილი გახდნენ. ერთიანი, ქართული ცენტრალიზებული ძლიერი სახელმწიფოს დაშლის შედეგად XVI-XVII საუკუნეებში განახლებულმა ხელახალმა მიგრაციულმა ტალღამ ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიიდან კვლავ გამოიწვია ეთნიკური ცვლილებები. საქართველოს ამ მხარეში ჩამოსახლებულმა, ნაწილობრივ მკვიდრმა ქართლმა და ნაწილობრივ გაქართველებულმა ძველმა აფხაზურმა მოსახლეობამ კონსოლიდაციისა და ტრანსფორმციის შედეგად თანამედროვე ,,აფხაზური“ ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბება განაპირობა. თანამედროვე აფხაზები ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფად (ტერიტორიულ-ლოკალურ ერთეულად) იყოფიან - აბჟუებად და ბზიფელებად. ბზიფში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩერქეზული წარმოშობის ხალხების მიგრაცია - XVI საუკუნეში, ხოლო აბჟუაში ე. ი. ოჩამჩირის რაიონში - XVII საუკუნის ბოლოს მოხდა (ბახია-ოქრუაშვილი, 2011, გვ. 10). განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრების პრაქტიკა, სოციალურ-ეკონომიკურის გარდა, კულტურული ხასიათის კავშირურთიერთობებსა და ურთიერთზეგავლენაშიც გამოიხატება. როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიიდან მიგრირებულები ახალ ეთნოეკოსისტემას შეეგუენ და შეითვისეს მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან მორგებული ტრადიციული წეს-ჩვეულებები, სადაც შეინიშნება მსგავსებაც და ლოკალური თავისებურებანიც.

მიგრანტ მოსახლეობას უფრო განვითარებულ და მაღალ საფეხურზე მდგომ მკვიდრ მოსახლეობასთან უწევდა ურთიერთობა და მკვიდრი მოსახლეობის მაღალი კულტურა, მათზე დიდ გავლენას ახდენდა. ამიტომ მიგრანტები კულტურის სხვადასხვა ელემენტს შემოქმედებითად ითვისებდნენ და ამით ახალ ტერიტორიაზე, ახალი ტრადიციების ჩამოყალიბების პროცესს უყრიდნენ საფუძველს (ბახია-ოქრუაშვილი, 2011, გვ. 42). მკვიდრსა და მოსულ მოსახლეობას შორის მკვეთრი განსხვავება დაფიქსირდა, როგორც ეთნიკურად, სოციალ-ეკონომიკურად, რელიგიურად და მით უმეტეს, საზოგადოებრივი ყოფის თვასაზრისით. ქართველებთან მრავალსაუკუნოვანი ტერიტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური ურთიერთობების შედეგად, აფხაზთა ხასიათი, ცხოვრების წესი, სულიერი, მატერიალური და სამეურნეო კულტურის ისტორიულად ჩამოყალიბების პროცესი ქართული კულტურის გავლენით მიმდინარეობდა.

XVIII საუკუნიდან მთიელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ეთნოპოლიტიკური და ეთნოტრანსფორმაციული პროცესების დაწყებამ, მკვიდრ ქართველურ მოსახლეობასთან ჩამოსახლებულთა შერწყმამ, ჯერ ბზიფის, ხოლო, მოგვიანებით აბჟუის აფხაზების ჩამოყალიბება გამოიწვია. ასე, რომ მთიელი კავკასიელების, მთიელი აფხაზების და მკვიდრ ქართველური მოსახლეობის

შერევისა და კონსოლიდაციის ახალმა ეტაპმა საფუძველი დაუდო თანამედროვე აფხაზების ჩამოყალიბების პროცესს. მთის ჩამოწოლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სახე. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. ,,აფხაზი" უკვე არ არის კულტურულ-პოლიტიკურად ქართველი, აფხაზთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს ქართველებმა მექანიკურად ისევ ,,აფხაზი" უწოდეს, ისინი კი თავიანთ თავს ,,აფსუას" უწოდებენ (ხორავა, 2004, გვ. 89).

მიგრანტებმა ჩრდილო კავკასიიდან კულტურის ისეთი ელემენტი ჩამოიტანეს, რომელიც მანამდე საქართველოში ქრისტიანული რელიგიისთვის მიუღებელი იყო. მათ წარმართული რელიგიის აღორძინება მოახერხეს. თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოში აფხაზებში კვლავ შეინიშნება საოჯახო და საგვარეულო რიტუალების ჩატარების ტრადიცია რჩეულ, ე. წ. წმინდა ხეებთან. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ისტორიულად აფხაზთა ტრადიციულ რელიგიურ პრაქტიკაში საკულტო ცენტრის ფუნქციას იშვიათად ასრულებდა სპეციალურად აგებული მატერიალური ნაგებობა. პირიქით, საკრალური სივრცე უმეტესად ბუნებრივ ლანდშაფტთან იყო დაკავშირებული. ასეთ სივრცეებად მიიჩნეოდა მთა, ტყის პირები, ცალკეული ჭალები და რჩეული ხეები, რომლებიც ადგილობრივ ტრადიციაში წმინდა ადგილებად აღიქმებოდა. აღნიშნული რელიგიურ-კულტურული წარმოდგენები თაობიდან თაობას ზეპირი გადმოცემით გადაეცემოდა, ხოლო თანამედროვე პირობებში მათი გავრცელება და შენარჩუნება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების, მათ შორის სოციალური ქსელების საშუალებითაც ხდება.

ტრადიციული წეს-ჩვეულებები ყოფა-ცხოვრების ანარეკლია. მის სტრუქტურას შეიძლება გარკვეული საფრთხე დაემუქროს, გარკვეული ცვლილებები განიცადოს, როდესაც იგი სხვა ტერიტორიაზე, სხვა ეთნიკური ერთეულების გარემოცვაში სახლდება, სადაც უმცირესობაშია. ამის შედეგად მისი მომავალი დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი აღმოჩნდება ძლიერი - წარსული, რომელიც თავის თავში მოიცავს ტრადიციებს, ისტორიულ მეხსიერებას, თუ აწმყო, რომელიც უცხო გარემოში ყალიბდება, სხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით. ასეთმა უცხო გარემომ შეიძლება ძველი ტრადიციები ჩაანაცვლოს ახლით, ან მოახდინოს სინთეზი. თუმცა შეიძლება აღმოჩნდეს მდგრადი ცვლილებებთან მიმართებაში, გარკვეული დროის განმავლობაში განიცადოს ასიმილაცია, მაგრამ შემოინახოს უმთავრესი ღირებულებები, ისტორიული მეხსიერება, ეროვნული იდენტობის ცალკეული ნიშნები, რომელთა გადაფასებაც არ მოხდა აწმყოსთან დაპირისპირების შედეგად. მიგრანტი მოსახლეობა მთის რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ ყოფას, მთიდან ჩამოტანილ ტრადიციულ წესებს აფუძნებდა. მთიდან ჩამოწოლილი მოსახლეობის დამკვიდრების შედეგად სოციალ-ეკონომიკრი, რელიგიური და კულტურული ფონი იცვლებოდა.

XX საუკუნის ბოლოს აფხაზეთში რთული ეთნო-პოლიტიკური, კონფლიქტური პროცესი განვითარდა, რომელიც რუსეთის ხელისუფალთა მიერ იყო პროვოცირებული. მკვიდრი ქართული მოსახლეობა აფხაზეთოდან გამოდევნეს, რომელთა უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩასახლდა, მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტა. აფხაზების გარკვეულმა ნაწილმაც დატოვა აფხაზეთი. დარჩენილი მოსახლეობა, რომელიც მთასა და მთისწინეთში სახლობდა დაბლობში ჩამოსახლდა და ქართველთა კუთვნილი დაკეტილი სახლები დაიკავა. მოსახლეობა აფხაზეთში საგრძნობლად შემცირდა. აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში დარჩა ქართული მოსახლეობა, ხოლო აფხაზეთის სხვა რაიონებში აფხაზები ჭარბობენ და ქართველებისგან თითქმის დაცარიელებულია.

XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, როგორც ქართველების, ისე აფხაზების ბუნებრივი ყოველდღიური განვითარების პროცესი შეაფერხა. შეცვალა მოსახლეობის მენტალიტეტი და ცხოვრების წესი. მათი ეთნიკური კულტურა დაითრგუნა და მის ნაცვლად რუსული

ენისა და კულტურის ელემენტების იძულებითი დანერგვა მოხდა. რაც ტრადიციულ ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში აისახება.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი და აფხაზი ხალხის კონტაქტი და კავშირები ღრმავდებოდა. ორი განსხვავებული ეთნიკური ერთობის დანათესავებამ, გვერდიგვერდ ცხოვრებამ ისინი ერთმანეთის მიმართ კეთილად განაწყო. ამიტომ, მთელი ისტორიული თანაცხოვრების მანძილზე ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტური სიტუაცია არასდროს წამოჭრილა, მაგრამ XIX საუკუნიდან ჯერ რუსეთის მეფის მთავრობის და შემდეგ საბჭოთა იმპერიის მმართველი წრეების რეაქციული პოლიტიკის წყალობით, მათ აფხაზებს ქართველების სახით მტრის ხატი შეუქმნეს (ბახია-ოქრუაშვილი, 2011, გვ. 29). თუ საუკუნეების განმავლობაში ჩამოსახლებულებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის ურთიერთობას აწესრიგებდა ეკონომიკური, კულტურული კავშირები, სხვადასხვა ყოფითი ინსტიტუტები რუსეთის დესტრუქციულმა ძალამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წარმოშობაში თავის როლი ბრწყინვალედ შეასრულა და თანამედროვე ყოფაში აფხაზების ეთნიკური გაქრობა დღეს უფრო დიდი რისკის ქვეშაა, რადგან მათი გარუსების ფაქტი უფრო შორს წასული პროცესია. რადიკალური სოციო-პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომელსაც თან ეკონომიკური კრიზისიც ახლავს, სოციუმში ორ ურთიერთდაპირისპირებულ ტენდეფნციას განაპირობებს: მდგომარეობის გამოსწორების მცდელობას ძველი, ნახევრადდავიწყებული მეთოდების აღორძინებით (რევიტალიზაცია) და ვითრების გასაუმჯობესებლად ახალი მეთოდების და გზების მოძიებას (ინოვაცია).

აფხაზთა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში ყველაზე მყარი საქორწინო წეს-ჩვეულებები აღმოჩნდა. თავდაპირველად, მათ ურვადის - ქალის მსყიდველობითი ფორმა ჩამოიტანეს. აფხაზები ეგზოგამიას ქორწინების დროს მკაცრად იცავდნენ, მაგრამ ჩამოსახლების დროისათვის მათ დიდ ოჯახში ლევირატული ფორმა იყო გავრცელებული, რაც ურვადთან და ეკონომიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ჩამოსახლების დროისათვის აფხაზური ოჯახი პოლიგამიური იყო, მამაკაცს შეეძლო რამოდენიმე ცოლი ჰყოლოდა. ეს იყო მუსლიმური გავლენა, რომელიც გამოიწვია XVII საუკუნეში თურქების შეჭრამ ჩრდილო კავკასიაში. XIX ს-ში, თითქმის მთლიანად შეიცვალა ქორწინების წესები. ურვადი მზითვის ინსტიტუტმა ჩაანაცვლა, როგორც ქართველებში და მრავალცოლიანობაც გაუქმდა. ასევე გაუქმდა ლევირატული ქორწინების ფორმა (ხარჩილავა, 2016, გვ. 72-93). თანამედროვე ყოფაში, როგორც ძველად აფხაზი სიძე თავის ქორწილში არ მონაწილეობს.

მიგრანტთა თანდათანობით ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისა და ადაპტაციის, მით უმეტეს მკვიდრი და მოსული მოსახლეობის შერწყმის, ასიმილაციის პროცესის, საერთო ქართულ-აფხაზური ეთნიკური სახის ჩამოყალიბებამ, სამეურნეოსთან ერთად დასახლების ფორმაც შეცვალა. აფხაზებმა ქართული კულტურისა და ყოფის ბევრი ელემენტი გაითავისეს.

ქართულ-აფხაზურმა კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობებმა, საქართველოს გეოგრაფიულმა გარემომ, სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, მიგრანტთა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობზე უდაოდ დიდი გავლენა იქონია. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნეში დასახლების ძირითადი ერთეული საკარმიდამო კომპლექსი ჩანს, რომელიც სეგმეტირებული იყო დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ეს თავისებურებანი ძირითად ნიშნებსაც ემთხვეოდა, რადგან იგი ერთიან საკარმიდამო კომპლექსში ყველა სამეურნეო ნაკვეთებს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებსაც გულისხმობდა (ბახია-ოქრუაშვილი, 2011, გვ. 40). აფხაზების საცხოვრებელი ნაგებობები კონსტურქციისა და ფორმის თვალსაზრისით ორ ძირითად ეტაპად დაიყო მრგვალ და ოთხკუთხედად. ძირითად ტიპებს შორის ფორმით რამდენიმე ქვეტიპი გამოეყო, რომელიც აფხაზურ საცხოვრებლებს განვითარებით შეესაბამებოდა (სულ ცხრა ტიპის ნაგებობა) (Аджинджал, 1969, стр. 41-42). ს. ბახია-ოქრუაშვილის აზრით ა. ჯიჯალის ჩამოთვლილი ცხრა ნაგებობებიდან ოთხია საკუთრივ აფხაზური, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდანაა

ჩამოტანილი, ხოლო ხუთი ტიპის საცხოვრებელის დასახელება ქართულია (მეგრული) (ბახია-ოქრუაშვილი ს, 2022, გვ. 65). XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული აფხაზური სოფლის გარეგნული იერი არ შეცვლილა. საცხოვრებელი სახლები ძირითადად ქვის, აგურის, ან ბეტონის ბლოკის, ორსართულიანი და სტილით და ფუნქციებით სამეგრელოში გავრცელებულ სახლებს ჰგავდა (გვანცელაძე თ, 2011, გვ. 512-522). საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკაში უმრავლესობა ნასესხებია. სესხება ორივე მიმართულებით მიმდინარეობდა, მაგრამ განსხვავებული ინტენსივობით. ქართველურიდან (მეგრულიდან) აფხაზურში ნასესხობა დომინირებს საყოფაცხოვრებო, სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებული ტერმინებში (ბუკია მ, 2013, გვ. 279). ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით თანამედროვე ყოფაში საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებით დღემდე, არაფერი შეცვლილა, რადგან აფხაზეთში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის არათუ განვითარება და მშენებლობები მიმდინარეობს, არამედ XX საუკუნის პირველ ნახევარში დაფიქსირებული ნაგებობების უმრავლესობა განადგურებულია. ამრიგად, თანამედროვე ყოფაში დასახლების ძირითადი ერთეული აფხაზებში საკარმიდამო კომპლექსი, დასავლურ-ქართლი თავისებურებებით ხასიათდება.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ეთნიკური თავისებურებებით, თავისი სოციალური და ესთეტიკური ფუნქციით ტანსაცმელი გამოირჩეოდა. აფხაზების სამოსი თავდაპირველად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი მცირე ხალხების ტრადიციული ტანსაცმლი ძირითად ფორმასა და მასალას იმეორებდა. თანამედროვეობაში ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის კვალი სამოსის დეტალების ტერმინოლოგიასაც ემჩნევა. აფხაზების სამოსს საერთო კავკასიური, საკუთრივ ადიღეური და ქართული გავლენა ეტყობა. თუმცა, ქართულის ძლიერი გავლენის მიუხედავად ძალიან ბევრი ტერმინოლოგია, მათ ჩრდილო-დასავლურ კავკასიური შემორჩათ, რაც თავისთავად ამ მოსახლეობასთან აფხაზების გენეტიკურ კავშირზე და მიგრაციის შედეგად აფხაზეთში მათ დაფუძნებაზე მეტყველებს (ბახია-ოქრუაშვილი, 2011, გვ. 59).

თანამედროვე აფხაზი ხალხის ტრადიციული კვების კულტურა და სუფრის წეს-ჩვეულებები, დაგროვილი გამოცდილება საქართველოს გეოგრაფიული გარემო-პირობებთან და ქართველთ კვების კულტურასთანაა დაკავშირებული, მიუხედავად ამისა, კვების კულტურის სისტემა აფხაური ყოფითი კულტურის თავისებურებებს ამჟღავნებს და ეთნიკური კულტურის ელემენტების მატარებელია. მათი ტრადიციული საკვები საქართველოს ტერიტორიზე ჩამოსახლების მომენტისათვის, ჩრდილო-კავკასიურ ყოფასთან, მათ ძირითად სამეურნეო საქმიანობასთან - მეცხოველეობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მათი დღიური თუ წლიური რაციონი უმეტესად რძის ნაწარმს და ხორცეულს წარმოადგენდა. მოგვიანებით, ადაპტაციის გავლისა და მიწათმოქმედების ათვისებასთან ერთად აფხაზურმა ხალხურმა საკვებწარმოებითმა ტრადიციამ ტრანსფორმაცია განიცადა. ცხადია, საკვების მრავალფეროვნება გეოგრაფიული გარემო პირობებზე, ხალხის სამეურნეო საქმიანობაზე იყო დამოკიდებული.

აფხაზეთში მიცვალებულის დაკრძალვასა და გლოვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც განსაკუთრებული კონსერვატიულობით ხასიათდება. ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე მეტ-ნაკლებად შემოინახა ძველი წეს-ჩვეულებები. ზოგი რიტუალი ინარჩუნებს ადრინდელ სახეს და თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი, მიუხედავდ იმისა, რომ ბევრ მათგანს ქრისტიანული მოძღვრება კრძალავს. აფხაზეთში მოპოვებული წეს-ჩვეულებები მთლიანად ემთხვევა ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემებს და ამავე დროს ლოკალური თავისებურებების შემცველიცაა. საინტერესოა მიცვალებულის წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ოჯახის გარეთ გარდაცვლილი ადამინის სულის ოჯახში მიყვანის წესი. ასევე თანამედროვე ყოფაში მიცვალებულთნ დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში მონაწილეობს აფხაზური ა-კ̇ᲗᲐᲚᲐᲜᲢᲐᲠᲘ და მეგრული კილანტარი, რომე-

ლიც მრავალი ხალხის (მათ შორის, ქართველების) მითოლოგიიდან და ფოლკლორიდან კარგად ცნობილი ხეზე შემომχდარი ფრინველი მიცვალებულის სულს განასახიერებს, ის მიცვალებულის სულის ნიშანია. აფხაზებში ა-კᲲალანტარი - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო წარმოადგენს ერთ მეტრამდე სიგრძის ცვილის განტოტვილ სანთელს, რომლის ღერძი მთელ სიმაღლეზე სპირალურად წითლად არის შეღებილი და სადგართან თეთრი ლენტი აქვს შემოხვეული. სანთლის თავში დასმულია ცვილისაგან დამზადებული ჩიტის გამოსახულება. ასეთი სანთლის ჩამოქნა აფხაზებმა ორმოცზე ან წლისთავზე იცოდნენ (ანთელავა ნ, 2006, გვ. 76). აფხაზებში კელაპტარი მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებების ციკლში მეგრულიდან არის შესული და თანამედროვეობაშიც ფიქსირდება, როგორც ქართველებში, ისე აფხაზებში.

აფხაზებს XIX საუკუნეში χერ კიდევ ღვინის დაყენების ემპირიული ცოდნა-გამოცდილება აქ ჰქონიათ. რაც შეეხება აფხაზთა ამ მეურნეობრივი დარგის ენობრივი, ფოლკლორული მასალა, რელიგიური წრმენა-წარმოდგენები და მასთან ერთად ინვენტარი, შემდგომშიც მწირი დარჩა. მათი სპეციალური ტერმინოლოგია მეორადი, გვაინ გაჩენილი და აღწერილობითია ან ქართულიდან (მეგრულიდან) არის ნასესხები (ბახია-ოქრუაშვილი, 2011, გვ. 75). მევენახეობა-მეღვინეობა, რომ აფხაზებისათვის ძირითადი დარგი არ ყოფილა ეტყობა სამეურნეო ნაგებობას, ღვინისათვის განკუთვნილ ჭურჭელს, ყურძნისთვის განკუთვნილ კალათების ფორმასა და ტერმინოლოგიას, რომელიც უმეტესად ქართულიდან არის ნასესხები. საკმარისია იმის დამატებაც, რომ აფხაზებს მარნის, საწნახელის, ვაზის სიმბოლიური და ღვთაებრივი გამოსახულება არასოდეს შეუქმნიათ. საკუთარი წარმართული დღეასასწაულების დროს, დასაწყისში მათ ჩრილო კავკასიიდან ჩამოტანილი ბუზა (თაფლის სანთლისაგან გაკეთებული მათრობელა სასმისი) თანდათანობით ღვინით შეცვალეს, თუმცა ქელეხებში ამ სარიტუალო სასმელს იყენებდნენ. აფხაზებში მარნის კულტიც არ არსებობდა. ზედაშეს კულტურა მხოლოდ აბჟუის აფხაზებში ფიქსირდება, რადგაც მათ მეგრელებთან უფრო ახლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. ჩვეულების თანახმად, მხოლოდ გააფხაზებულ მეგრელებს, ილორის წმინდა გიორგისა და ზოგიერთი სხვა ქრისტიანული წმინდანების სახელზე ჩამარხული ზედაშეები შემორჩათ. ვაზთან და ვენახთან და ყურძენთან, სხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არც ბზიფისა და არც აბჟუის აფხაზების ყოფაში არასდროს დადასტურებულა. 2024 წელს ოჩამჩირის რაიონში მცხოვრები აფხაზებისგან მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითაც არ ფიქსირდება ოχახებში მარანი და მარანთან დაკავშირებული ზედაშეები. სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რომ აფხაზებში χერ კიდევ XIX საუკუნეში ღვინის დაყენების საკმაოდ პრიმიტიული ხერხი იყო გავრცელებული და მევენახეობა-მეღვინეობა ძირითადი დარგი არ ყოფილა, ამიტომ მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია უმეტესად ქართულიდან არის ნასესხები. ზედაშეს კულტურა აბჟუის აფხაზებში გვიან საბჭოთა პერიოდში დაფიქსირდა, რადგან მათ მეგრელებთან უფრო ახლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ (ბახია-ოქრუაშვილი, 2020, გვ. 128).

საინტერესოა სამჭედლო და მასთან დაკავშირებული რიტუალები. აფხაზებში სამჭედლო ხელოსნობა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული საქმე იყო. სამჭედლოს სიმბოლური სალოცავი ნაგებობა, ერთადერთი რელიგიური მატერიალური კულტურის გამოხატულება იყო. სამჭედლოში ჩაფლული იყო საზედაშე ღვინით სავსე ქვევრი, რომელიც სამჭედლოს ღვთაების სახელზე იყო შეწირული, მის შესაწირავად პატრონიმიის უხუცესი ლოცულობდა (ბახია-ოქრუაშვილი, 1982, გვ. 183-187). XX საუკუნის შუახანებამდე შემორჩა მცირე ზომის სამეურნეო დანიშნულების უკვე არმქონე სამჭედლოები, სადაც მხოლოდ ლოცვა და მსხვერპლშეწირვა წარმოებდა და გრდემლი, კვერი და მარწუხი კულტის ობიექტებს წარმოადგენდნენ. იმდენად დიდია მოკრძალება და შიში ღვთაება შაშვის წინაშე, რომ სამჭედლოს ნასადგურევიც თანამედროვე აფხაზეშთი ერთერთ წმინდა ადგილს წარმოადგენს და საოχახო რიტუალები დღესაც სრულდება (ავტორის საველე-ეთნოგრაფიული დღიური, 2024).

სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო, გეოგრაფიული გარემოს რადიკალური ცვლილება ადამიანების ჯგუფში განაპირობებს ცხოვრების წესის ტრასფორმაციას, მის ადაპტაციას, რაც ტრადიციულ ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში აისახება. ამ პროცესზე გავლენას ახდენს საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული, ეთნიკურ კულტურაში დამკვიდრებული, სოციონორმატიული და ეთიკური ნორმები. არსებითი მნიშვნელობა აქვს არამარტო ფიზიოლოგიურ ადაპტაციას, არამედ კულტურულ-ისტორიულ ასპექტსაც, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-სამეურნეო მიღწევათა შეთვისებას და მეორეს მხრივ საკუთარი სპეციფიკის (ეთნიკური ფიზიონომიის) შენარჩუნებას (შუბითიძე, 1998, გვ. 160-161). კონფლიქტის შემდგომი პერიოდი აფხაზეთში მცხოვრები, როგორც ქართველების (უმცირესობა), ისე აფხაზების ყოფა აღმოჩნდა კარდინალური ცვლილებების წინაშე.

აფხაზეთში ქართული საზოგადოება თვითგანადგურების წინაშე დადგა და იძულებული გახდა ხსნის გზა მოეძებნათ. სოციალურ-პოლიტიკური გარემო ცვლილება ადამიანების ჯგუფში განაპირობებს ცხოვრების წესის ტრასფორმაციას, მის ადაპტაციას, რაც ტრადიციულ ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში აისახება. რევიტალიზაციაში იგულისხმება კულტურის იმ ელემენტის აღორძინება, რომელიც მეტ-ნაკლებად დავიწყებული იყო და ახალი გარემოებების წყალობით კვლავ გამოცოცხლდა.

**დასკვნა.** ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთში უმცირესობაში მყოფ ქართველებს შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და კარჩაკეტილობის გამო უხდებათ მივიწყებული კულტურული ელემენტების გაცოცხლება. დომინანტი ეთნიკური ჯგუფი - აფხაზები იღებს უმცირესობის ტრადიციას, აკარგვინებს მას თავდაპირველ კონტენტს, აცხადებს მას საკუთარ ეროვნულ მემკვიდრეობად და უგულვებელყოფს მის ნამდვილ წარმოშობას. აფხაზებს უწევთ ტრადიციული ინსტიტუტების გამოცოცხლება ქართული წეს-ჩვეულებების მიკუთვნებულობით, კრიზისული შემთხვევაში სოციუმის გადარჩენისთვის. რადგან უმცირესობა დასუსტებულია, მათი წეს-ჩვეულებები გადადის დომინანტ კულტურაში და თითქმის ისტორიული მეხსიერება იკარგება, ახალი თაობა უკვე ვეღარ ანსხვავებს წარმოშობას, რის გამოც ტრადიცია ან თითქმის ქრება, ან რეალურად სხვა სახელით აგრძელებს არსებობას. აფხაზებს სხვისი კულტურის მითვისებით გააჩნიათ ეროვნული იდენტობის გაძლიერების სურვილი. აფხაზეთში ინოვაციის შეზღუდვის მიზეზებია: გეოგრაფიული იზოლაცია - საზღვრის დაბრკოლებები, რომელიც ხელს უშლის ახალ იდეებსა და ტრადიციებს; პოლიტიკური კონტროლი - ოკუპაცია აკონტროლებს განათლებას, მედიას და კომუნიკაციას, რაც გარე კულტურული ზეგავლენის ბლოკირებას იწვევს. საოკუპაციო პირობებში მცხოვრები ქართული მოსახლეობა ფოკუსირებულია შეინარჩუნოს არსებული, შედეგად, კულტურული ინოვაცია თითქმის არ ხდება, ან ხდება ძალიან ნელა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დომინანტი ეთნოსი ითვისებს მცირე ეთნოსის წეს-ჩვეულებებს, თუმცა კულტურული ნიშნები ხდება გამომხატველი იდენტობის მტკიცებულების.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


Аджинджал Я. И. (1969). Из этнографии Абхазии. Сухуми.

ავტორის საველე-ეთნოგრაფიული დღიური (2024).

ანთელავა ნ. (2006). აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, ენციკლოპედია. თბილისი.

ბახია-ოქრუაშვილი. (2011). აფხაზთა ეთნოლოგია. თბილისი.

ბახია-ოქრუაშვილი ს. (1982). პატრონიმიის იდეოლოგიური ურთიერთობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, წიგნი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი.

ბახია-ოქრუაშვილი ს. (2020). აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.

ბახია-ოქრუაშვილი ს. (2022). ქართველთა და აფხაზთა დასახლების ფორმა და მატერიალური კულტურა. თბილისი.

ბუკია მ. (2013). ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწილი პირველი. თბილისი.

გვანცელაძე თ. (2011). აფხაზური ენა (სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება). თბილისი.

შუბითიძე ვ. (1998). ადაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში, წიგნში: კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. თბილისი.

ხარჩილავა ნ. (2016). საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში. თბილისი.

ხორავა ბ. (2004). აფხაზთა მუჰაჯირობა. თბილისი.